



ჭიპიაი

პენის სამაზღვრო ჯგუფი



**სს თიბისი ბანკის სასხზე მიბმული
სიცოცხლის სავალდებულო
დაზღვევის პირობები**

V 01.04.2021

ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“

დამზღვევე(ებ)ი - ფიზიკური პირი ან პირები, რომლებიც წარმოადგენენ სს „თიბისი ბანკის“ საკრედიტო პროდუქტის მსესხებლებს ან/და თანამსესხებლებს და იხდიან სადაზღვევო პრემიას მოსარგებლის მეშვეობით;

დაზღვეული - სს „თიბისი ბანკის“ მსესხებელი/თანამსესხებელი;

მოსარგებლე - პირი, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის მოსარგებლეს ყოველთვის წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“;

სადაზღვევო თანხა - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლეზე. ყოველი კონკრეტული დაზღვეულისთვის სადაზღვევო თანხის ოდენობა განისაზღვრება მოსარგებლეს და დამზღვევს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის ძირითადი თანხითა და პოლისში განსაზღვრული პროპორციის შესაბამისად;

სადაზღვევო ანაზღაურება - წარმოადგენს თანხის ოდენობას, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და უდრის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის დამზღვევს და მოსარგებლეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე თანდართული კრედიტის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრული დარჩენილი ძირითადი თანხის პროპორციული წილის შესაბამისად. სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ მოსარგებლეზე ყოველთვის გაიცემა სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული პირის ნებისმიერი მიზეზით (გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა) გამოწვეული გარდაცვალება ან უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი ქმედუნარობა;

უბედური შემთხვევა - გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას ან დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუნარობის დადგომას;

ქმედუნარობა - მდგომარეობა, როდესაც ფიზიკური პირი ვერ ახერხებს თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები;

დაზღვევის ტერიტორია - მთელი მსოფლიო;

სადაზღვევო პერიოდი - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა;

მაქსიმალური სადაზღვევო თანხა - ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის კონკრეტული მსესხებლისთვის / თანამსესხებლისთვის (დაზღვეულისთვის) გათვალისწინებული სადაზღვევო თანხების ჯამი, რომელიც შეადგენს 500,000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად). სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი არ აანაზღაურებს მაქსიმალურ სადაზღვევო თანხაზე მეტ თანხას, მიუხედავად ამ მომენტისთვის მსესხებლის/თანამსესხებლის მიმდინარე დარჩენილი საკრედიტო დავალიანებისა (სესხების ძირითადი თანხების ჯამი);

სადაზღვევო პრემია - დამზღვევს(ებს) და მზღვეველს შორის გაფორმებული სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ყოველთვიური პრემიის სრული ოდენობა, რის სრულად გადახდაზეც პასუხისმგებელია დამზღვევე(ები) მოსარგებლის მეშვეობით.

დაზღვევის საგანი

წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას მოსარგებლეზე დაზღვეული პირის ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის, უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების ან უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი ქმედუნარობის შემთხვევაში, გარდა ამ დოკუმენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

1. ვინ შეიძლება იყოს დაზღვეული / დაზღვევის პროცედურა

1.1 დაზღვეულის ასაკი დაზღვევის ძალაში შესვლის თარიღისთვის არ უნდა იყოს 18 წელზე ნაკლები.

1.2 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი/თანამსესხებელი განეკუთვნება 18-დან 65 წლის ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად სადაზღვევო თანხა ნაკლებია ან შეადგენს 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად), მზღვეველის მიერ მსესხებლის/თანამსესხებლის გარდაცვალების რისკზე დაზღვევა ხორციელდება ამ დოკუმენტით გათვალისწინებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებელი დამატებითი პროცედურების გავლის გარეშე.

1.3 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი/თანამსესხებელი განეკუთვნება 18-დან 65 წლის ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად სადაზღვევო თანხა აღემატება 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად), მზღვეველის მიერ მსესხებლის/თანამსესხებლის გარდაცვალების რისკზე დაზღვევა ხორციელდება შემდეგი

პირობების დაცვით: მსესხებელი/თანამსესხებელი, მოსარგებლის მეშვეობით იღებს ვალდებულებას დაზღვევის გაფორმებამდე წარუდგინოს მზღვეველს მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ შევსებული ჯანმრთელობის განაცხადი. შევსებული განაცხადის საფუძველზე, მზღვეველის მიერ ხორციელდება რისკის ინდივიდუალური შეფასება და პრემიის/პირობების განსაზღვრა. მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ აღნიშნული განაცხადის შევსებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში ან თუ ვერ ხერხდება რისკის სამედიცინო შეფასება, მსესხებელი/თანამსესხებელი ითვლება დაზღვეულად და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა განხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით:

- 1.3.1 სადაზღვევო თანხა მზღვეველის მიერ ანაზღაურდება სრულად, დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზის მიუხედავად (არსებული გამონაკლისების გათვალისწინებით), თუ გარდაცვალების მომენტისათვის დაზღვეულის სასესხო ვალდებულება მოსარგებლის მიმართ არ აღემატება 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად).
- 1.3.2 იმ შემთხვევაში თუ გარდაცვალების მომენტისათვის დაზღვეულის სასესხო ვალდებულება მოსარგებლის მიმართ აღემატება 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად), მზღვეველის მიერ გასაცემი ანაზღაურება შეადგენს ფიქსირებულ 200,000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში , ამ დოკუმენტის პირობების შესაბამისად. დარჩენილი დავალიანების ანაზღაურება მაქსიმალური სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მზღვეველის მიერ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ გარდაცვალება გამოიწვია უბედურმა შემთხვევამ.
- 1.4 უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი ქმედუნარობის რისკზე მსესხებლის/თანამსესხებლის დაზღვევა ხდება შემდეგი პირობებით: 18-55 წლის ასაკის მსესხებლის/თანამსესხებლის შემთხვევაში მაქსიმალური სადაზღვევო თანხა შეადგენს 100,000 (ასი ათას) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად), ხოლო 56-65 წლის ასაკის მსესხებლის/თანამსესხებლის შემთხვევაში 50,000 (ორმოცდაათი ათას) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში ან ევროში (სესხის ვალუტის შესაბამისად).
- 1.5 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის/თანამსესხებლის ასაკი სესხის გაცემის მომენტისათვის მეტია 65 წელზე, მიუხედავად სადაზღვევო თანხის ოდენობისა, პირის დაზღვევა ხორციელდება მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეულ გარდაცვალების რისკზე. ამასთან, ანაზღაურდება მსესხებლის/თანამსესხებლის ჯამური დავალიანების შესაბამისი თანხა, მაგრამ არაუმეტეს 50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტისა ლარში . სესხის გაცემის მომენტში მსესხებლის/თანამსესხებლის მაქსიმალური შესაძლო ასაკია 70 წელი.
- 1.6 თუ დაზღვეული პირის ასაკი 65 წელზე მეტია, იგი ავტომატურად დაზღვეულია მხოლოდ გარდაცვალების რისკზე, ხოლო თუ დაზღვეული პირის ასაკი მეტი იქნება 70 წელზე, პირი ავტომატურად დაზღვეულია მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების რისკზე. აღნიშნული დაზღვევა მოქმედია 75 წლის ასაკის ჩათვლით.
- 1.7 იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლესა და დაზღვეულს შორის დადებულ სესხის ხელშეკრულებაში მონაწილეობს თანამსესხებელი, თანამსესხებლის სიცოცხლე დაზღვეული იქნება სესხში მისი წილის პროპორციული სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ ანაზღაურდება სადაზღვევო თანხის ის წილი, რომელიც მითითებული იყო მოცემული თანამსესხებლის შესაბამის პოლისში.
- 1.8 მზღვეველს უფლება აქვს რისკის ინდივიდუალური შეფასების პროცესში მოითხოვოს დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები.

დაფარული რისკები

წინამდებარე დაზღვევით დამზღვევი აზღვევს საკუთარ ფინანსურ ინტერესს შემდეგ რისკებზე:

- დაზღვეული პირის გარდაცვალება ნებისმიერი ბუნებრივი მიზეზით;
- დაზღვეული პირის გარდაცვალება, გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- დაზღვეული პირის სრული მუდმივი ქმედუნარობის დადგომა, რომელიც გამოწვეულია უბედური შემთხვევით.

2. გამონაკლისები

- 2.1. წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვეულის გარდაცვალების რისკის დადგომის შემთხვევაში დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ ის პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:
 - 2.1.1. ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედება; დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება, თუ გარდაცვალების მომენტში დაზღვეული იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალება დანიშნულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით და არ გამოიყენება ნივთიერებაზე დამოკიდებულების სამკურნალოდ, სერტიფიცირებული ექიმის მიერ;

- 2.1.2. თვითმკვლელობა და თვითდაზიანება;
 - 2.1.3. საქართველოს (ან გარდაცვალების ადგილის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში დაზღვეულის მონაწილეობა;
 - 2.1.4. ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, აჯანყებაში, რევოლუციაში, გაფიცვაში, ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში დაზღვეულის ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
 - 2.1.5. დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი გახდა წინამდებარე დაზღვევით პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებული პირის განზრახ ქმედება;
 - 2.1.6. დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობა, მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ფსიქიკურად დაავადდნენ იმ სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელზეც არის მიღებული წინამდებარე პირობებით რეგულირებადი სიცოცხლის დაზღვევა;
 - 2.1.7. დაზღვეულის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ის საჭიროებს მუდმივ მოვლას (დახმარებას ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად), მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ აღნიშნულ მდგომარეობაში ამ სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელზეც არის მიღებული წინამდებარე პირობებით რეგულირებადი სიცოცხლის დაზღვევა;
 - 2.1.8. დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, პარაშუტით ხტომა, ავტო და მოტო რბოლა, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში მოგზაურობა, მთაში ველოსიპედებით მოგზაურობა, ექსტრემალური სპორტის სახეობები, ავიაცია და მასთან დაკავშირებული სპორტის სახეობები და სხვა;
 - 2.1.9. მაიონიზირებელი გამოსხივება, გარემოს რადიოაქტიული დაბინძურება, ბირთვული გამოსხივება;
 - 2.1.10. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მზღვეველის მიერ ზარალის შესაფასებლად აუცილებელი საბუთების სრულყოფილად წარმოუდგენლობა;
 - 2.1.11. თუ დაზღვევის პროცესში დამზღვევის/დაზღვეულის მიერ არასწორად იქნა ინფორმაცია მოწოდებული დაზღვეულის შესახებ, რასაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონოდა რისკის შეფასებისას;
 - 2.1.12. საავიაციო რისკები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული წარმოადგენს რეგულარული ან ჩარტერული ავიარეისის მგზავრს;
 - 2.1.13. ავტომობილის მართვა შესაბამისი მართვის მოწმობის გარეშე;
 - 2.1.14. სამედიცინო დანიშნულების არაგონივრული უარყოფა;
 - 2.1.15. თუ გარდაცვალების შესახებ სამედიცინო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ გარდაცვალების მიზეზი უცნობია, მზღვეველი უფლებას იტოვებს აანაზღაუროს ზარალი არაუმეტეს 50,000 ლარის ოდენობისა.
- 2.2. წინამდებარე პირობების თანახმად, უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუნარობის რისკის დადგომის შემთხვევაში, დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:
- 2.2.1. დაზღვეული გადაადგილდება საჰაერო ხომალდით (რეაქტიული ძრავით ან ძრავის გარეშე), პლანერით, კოსმოსური ხომალდით ან პარაშუტის მეშვეობით;
 - 2.2.2. დაზღვეული მართავს საჰაერო ხომალდს ან წარმოადგენს საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრს;
 - 2.2.3. თვითმკვლელობის მცდელობა ან განზრახ თვითდაზიანება;
 - 2.2.4. დაზღვეული იმყოფებოდა ნარკოტიკული, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალება დანიშნულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით და არ გამოიყენება ნივთიერებაზე დამოკიდებულების სამკურნალოდ, სერტიფიცირებული ექიმის მიერ;
 - 2.2.5. დაზღვეულის ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების უმაღლესი სიჩქარის გამოცდაში მონაწილეობა მძღოლის, შტურმანის ან მგზავრის სტატუსით;
 - 2.2.6. საქართველოს (ან გარდაცვალების ადგილის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში დაზღვეულის მონაწილეობა;
 - 2.2.7. ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, აჯანყებაში, რევოლუციაში, გაფიცვაში, ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში დაზღვეულის ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
 - 2.2.8. დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი გახდა წინამდებარე დაზღვევით პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებული პირის განზრახ ქმედება;
 - 2.2.9. დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, პარაშუტით ხტომა, ავტო და მოტო რბოლა, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში მოგზაურობა, მთაში ველოსიპედებით მოგზაურობა, ექსტრემალური სპორტის სახეობები წყალზე, ექსტრემალური სპორტის სახეობები, ავიაცია და მასთან დაკავშირებული სპორტის სახეობები და სხვა;

- 2.2.10. მაიონიზირებელი გამოსხივება, გარემოს რადიაქტიული დაბინძურება, ბირთვული ენერგია, რადიაცია ან მათი შედეგებით გამოწვეული უბედური შემთხვევა;
 - 2.2.11. დაზღვეულის მიერ არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის კურსის ან თვითმკურნალობის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესება;
 - 2.2.12. უბედურ შემთხვევას, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი ორგანოების მიერ შეუმოწმებელი საკვებით ინტოქსიკაციით;
 - 2.2.13. უბედური შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია მალთაშუა დაზიანებით, შინაგანი ორგანოებიდან სისხლდენით, ან/და ტვინში სისხლის ჩაქცევით;
 - 2.2.14. ფსიქიკური რეაქციით გამოწვეული პათოლოგიური მოშლილობა, განურჩევლად ფსიქიკური რეაქციის გამომწვევი მიზეზისა;
 - 2.2.15. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მზღვევლის მიერ ზარალის შესაფასებლად აუცილებელი საბუთების სრულყოფილად წარმოდგენილობა.
- 2.3. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვევლის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძვლები და წესი

- 3.1 დაზღვეულის წარმომადგენელი (დაზღვეულის მემკვიდრე) მოსარგებლის მეშვეობით ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მზღვეველს.
- 3.2 მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინების მოსარგებლის მხრიდან მიღების შემდეგ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს დაზღვეულის წარმომადგენელთან დაკავშირება და შემდეგი საბუთების გამოთხოვა:
 - დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
 - სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი (ფორმა №IV-106/ს-4);
 - დიაგნოზის დამადასტურებელი დოკუმენტაციის-(ფორმა №IV-100/ა) (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი;
 - დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუნარობის დადგომის შემთხვევაში სასამართლოს ან შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება პირის ქმედუნაროდ ცნობის თაობაზე (აღნიშნული საბუთის წარმოდგენა დამზღვევის მიერ აუცილებლობას წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად განსაზღვრისათვის აუცილებლად ჩათვლის მის მოთხოვნას) და შესაბამისი სამედიცინო დასკვნა;
 - სასესხო ხელშეკრულების ასლი;
 - დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი.
- 3.3. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული დამატებითი საბუთების წარმოდგენა კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად დადგენის მიზნით.
- 3.4. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას გარდაცვალების მიზეზის ან ქმედუნარობის ხარისხის დაზუსტების მიზნით ჩაატაროს/მოითხოვოს დამატებითი მოკვლევა/ექსპერტიზა. ასეთი გამოკვლევა/ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უძღოდეს დაზღვეულის წარმომადგენელთან (მემკვიდრე) და მოსარგებელსთან შეთანხმება.
- 3.5. დამატებით მოკვლევა/ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯები დაზღვეულის წარმომადგენელს (მემკვიდრეს) და მზღვეველს შორის ნაწილდება შემდეგი პრინციპის მიხედვით:
 - იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული მოკვლევა/ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას, ექსპერტიზის ხარჯები მზღვეველის მიერ გამოიქვითება გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან.

- იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული მოკვლევა/ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, ექსპერტიზის ხარჯები თანაბრად განაწილება დაზღვეულის წარმომადგენელს (მემკვიდრეს) და მზღვეველს შორის.

- 3.6. მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას დაზღვეულის (მსესხებლის/თანამსესხებლის) გარდაცვალების დღისთვის არსებულ მიმდინარე დავალიანებას - სესხის ძირითადი თანხა - მხოლოდ წინამდებარე პირობების მეორე მუხლის პირობების შესაბამისად და სესხში დაზღვეულს (მსესხებლის/თანამსესხებლის) წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით.
- 3.7. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში 3.2 პუნქტში განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს მოსარგებლეზე წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს ეტყვის მოსარგებლეს ანაზღაურებაზე.
- 3.8. უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუუნარობის დადგომის შემთხვევაში (რომელიც დადგინდება უბედური შემთხვევის დადგომიდან 6 (ექსი) თვის გასვლის შემდეგ) 3.2 პუნქტში განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს მოსარგებლეზე წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს იტყვის ანაზღაურებაზე.
- 3.9. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ეროვნულ ვალუტაში, ანაზღაურების გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

4. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი

- 4.1. დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის სს „თიბისი ბანკის“ მიერ პოლისში მითითებული სესხის გაცემისა და პოლისის ხელმოწერისთანავე ან დაზღვეულის მიერ პოლისის ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების საშუალებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, ვებგვერდი და სხვ.) დადასტურებისთანავე.

5. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

- 5.1 სადაზღვევო პრემიის ოდენობისა და მისი გადახდის წესის შესახებ ინფორმაცია მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

6. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი

- 6.1. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მზღვეველის ინიციატივით, დამზღვევისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, თუ:
- 6.1.1. მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები სრულადაა შესრულებული.
- 6.1.2. დაზღვეულს შეუსრულდა 75 წელი, პოლისზე ერთზე მეტი დაზღვეულის არსებობის შემთხვევაში, შეწყდება სადაზღვევო დაფარვა პოლისში მითითებულ იმ წილზე, რომელ დაზღვეულსაც შეუსრულდა 75 წელი;
- 6.2. დაზღვევის ხელშეკრულება ასევე შეწყდება:
- 6.2.1. დამზღვევის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში;
- 6.2.2. დაზღვეულის გარდაცვალებისას, პოლისზე ერთზე მეტი დაზღვეულის არსებობის შემთხვევაში, შეწყდება სადაზღვევო დაფარვა პოლისში მითითებულ იმ წილზე, რომელი დაზღვეულიც გარდაიცვალა;
- 6.2.3. მოსარგებლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
- 6.2.4. მზღვეველის მიერ მისი საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეწყვეტის შემთხვევაში.
- 6.2.5. მოსარგებლის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში დამზღვევის დავალიანების არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო ხელშეკრულების პირობებისა და მოსარგებლის გადაწყვეტილების შესაბამისად;
- 6.2.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7. შეტყობინებები და კომუნიკაცია

- 7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი, რაც გულისხმობს იმას, რომ მზღვეველის მიერ ამ მისამართზე გაგზავნილი წერილი ან მობილურ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება მზღვეველის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად; შეტყობინების ტელეფონის ნომერზე გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ.
- 7.2. მზღვეველის მხრიდან დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება სადაზღვევო პოლისში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მზღვეველისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე. ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მიღებულად, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული მზღვეველისათვის.

7.3. პრემიის დავალიანების არსებობის შესახებ დამზღვევმა შეტყობინება შეიძლება მიიღოს როგორც მზღვეველისგან, ასევე მოსარგებლისაგან სესხზე არსებული დავალიანების შეტყობინების ფარგლებში, რომელიც დავალიანებაზე ასევე მოიცავს საპრემიო დავალიანებას. ორივე ასეთ შეტყობინებას აქვს თანაბარი სამართლებრივი ძალა.

8. დავათა გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

8.2 წინამდებარე პირობების უცხოენოვან ვერსიასა და ქართულ ვერსიას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ქართულ ვერსიას მიენიჭება.

8.3 დაზღვევის პირობებსა და პოლისს შორის შეუსაბამობების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისში განსაზღვრულ პირობას.

9. კონფიდენციალობა

9.1 მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

10.1 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დაამუშაოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) მზღვეველის მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით და (გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის. აღნიშნული მიზნებისთვის მზღვეველი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, გამოითხოვოს დაზღვეულის პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

10.2 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რათა მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.